აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №7

2021 წლის 14 ივლისი

ქ. ბათუმი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად:

1. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №18 დადგენილებით (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ. გვერდი, 04/01/2019, ს/კ 450090050.32.057.016284) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) **დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამმართველოს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს, გარდა სამმართველოს ტერიტორიული ორგანოების უფროსებისა და მათი მოადგილეებისა, აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს“;

ბ) **დებულების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:**

,,10. სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელსა და მის მოადგილეს სამმართველოს ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**